სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/178

ქ. თბილისი

6 ნოემბერი 2025 წ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ხიდსაცდელი ცენტრის რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის 2025 წლის 11 მარტის №GAC-03/168 წერილის, სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (04.10.25 №11) სასწავლო-სამეცნიერო ხიდსაცდელი ცენტრის უფროსის, თამაზ ცვარიანის 2025 წლის 28 ოქტომბრის MES 6 25 0001421367 სამსახურებრივი ბარათის, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის, დავით ხვედელიძის 2025 წლის 04 ნოემბრის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 06 ნოემბრის №01-05-02/25 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. განხორციელდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ISO/IEC 17025:2017/2018 სტანდარტის შესაბამისად აკრედიტებული უნივერსიტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი ელექტრომოწყობილობების, ელექტრომაგნიტური თავსებადობისა და ენერგეტიკული ზეთების საგამოცდო ლაბორატორიის „ენერგოდიაგნოსტიკა“ და გემოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის, დიაგნოსტიკისა და გადამუშავების რესპუბლიკური ცენტრის საგამოცდო ლაბორატორიის გაერთიანება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედ სამეცნიერო-სასწავლო ხიდსაცდელ ცენტრთან შეერთების გზით.

2. განხორციელდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - მშენებლობის სასწავლო, სამეცნიერო, საექსპერტო საგამოცდო ლაბორატორიის რეორგანიზაცია და ლაბორატორიის ISO/IEC 17025:2017/2018 სტანდარტის შესაბამისად აკრედიტებული საქმიანობის საექსპერტო საგამოცდო მიმართულება გადაეცეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედ სამეცნიერო-სასწავლო ხიდსაცდელ ცენტრს.

3. მოწონებული იქნეს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი სამეცნიერო-სასწავლო ხიდსაცდელი ცენტრისა და სამშენებლო ფაკულტეტის მშენებლობის სასწავლო, სამეცნიერო, საექსპერტო საგამოცდო ლაბორატორიის დებულებებში (დანართი).

4. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**